



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

02 აგვისტო 2024



N 21/8202

შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდს“
ელ. ფოსტა: gochakamkia@gmail.com

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია, სააგენტო განიხილავს თქვენ მიერ 2024 წლის 17 ივნისს N6045 წერილით წარმოდგენილ დამატებით ინფორმაციას, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობას.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, შპს „ტერმინალ 1“-ის მიერ 2024 წლის 22 ივლისს წარმოდგენილია N7434 წერილი, რომლის მიხედვით „შპს „ტერმინალ 1“-ს არ გააჩნია ურთიერთშეთანხმება შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდთან“. ამასთან, შპს „ტერმინალ 1“-ს არ შეუტანია ცვლილება დაგეგმილ პროექტში“. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ „შპს „ტერმინალ 1“-ს უსაფრთხოებიდან გამომდინარე, დაუშვებლად მიიჩნევს კუნძულის მშენებლობა/მოწყობას წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში. ასევე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „შპს „ტერმინალ 1“-ის მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი 2024 წლის 31 ივლისის N22764 წერილი, რომელსაც თან ახლავს კომპანია „ანკორ ინჟინერინგის“ წინასწარი შეფასება, სადაც მოცემულია „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ კომპლექსის მშენებლობის შემთხვევაში შპს „ტერმინალ 1“-ის ფუნქციონირების სირთულეები და რისკები.

ზემოაღნიშნულ წერილებში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის შესაბამის უწყებებთან კომპეტენციის ფარგლებში შეთანხმების შესახებ) წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე

დანართი: შპს „ტერმინალ 1“-ის 2024 წლის 22 ივლისის N7434 და 31 ივლისის N22764 წერილები.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



<https://edocument.ge/mea/public/#/8202-21-2-202408021811>

